პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 139 (3116)

20 ივლისი, ოთხშაბათი, 1966 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

# VIII მსოფლიო ჩემპიონატი

ENGLAND 1966 ფეხბურთი VIII ინგლისი

## გუშინ ინგლისის სტადიონებზე

**ლონდონი** მექსიკა — ურუგვაი 0:0

**შეფილდი** არგენტინა — შვეიცარია 2:0

**ლივერპული** პორტუგალია — ბრაზილია 3:1

**მიდლსბრო** იტალია — კსდრ 0:1

## დღეს!

ლონდონი: საფრანგეთი—ინგლისი

ბირმინგემი: ესპანეთი—გფრ

მანჩესტერი: უნგრეთი—ბულგარეთი

სანდერლენდი: ჩილი—სსრ კავშირი

### პირველი ჯგუფი

| | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | ქ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ურუგვაი | ● | 0:0 | 2:1 | 0:0 | 4 | 2:1 |
| 2 | ინგლისი | 0:0 | ● | | 2:0 | 3 | 2:0 |
| 3 | საფრანგეთი | 1:2 | | ● | 1:1 | 1 | 2:3 |
| 4 | მექსიკა | 0:0 | 0:2 | 1:1 | ● | 2 | 1:3 |

### მეორე ჯგუფი

| | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | ქ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შვეიცარია | ● | 0:5 | 1:2 | 0:2 | 0 | 1:9 |
| 2 | გფრ | 5:0 | ● | | 0:0 | 3 | 5:0 |
| 3 | ესპანეთი | 2:1 | | ● | 1:2 | 2 | 3:3 |
| 4 | არგენტინა | 2:0 | 0:0 | 2:1 | ● | 5 | 4:1 |

### მესამე ჯგუფი

| | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | ქ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრაზილია | ● | 2:0 | 1:3 | 1:3 | 2 | 4:6 |
| 2 | ბულგარეთი | 0:2 | ● | | 0:3 | 0 | 0:5 |
| 3 | უნგრეთი | 3:1 | | ● | 1:3 | 2 | 4:4 |
| 4 | პორტუგალია | 3:1 | 3:0 | 3:1 | ● | 6 | 9:2 |

### მეოთხე ჯგუფი

| | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | ქ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კსდრ | ● | 0:3 | 1:1 | 1:0 | 3 | 2:4 |
| 2 | სსრ კავშირი | 3:0 | ● | | 1:0 | 4 | 4:0 |
| 3 | ჩილი | 1:1 | | ● | 0:2 | 1 | 1:3 |
| 4 | იტალია | 0:1 | 0:1 | 2:0 | ● | 2 | 2:2 |





როგორც ცნობილია, საბჭოთა ფეხბურთელებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს მატჩი თავის ჯგუფში იტალიის ძლიერ გუნდთან და დაამარცხეს იგი ანგარიშით 1:0.

სურათზე (მარცხნივ): საბჭოთა გუნდის მეკარე ლ. იაშინი იღებს ძნელ ბურთს.

●

საყოველთაო ინტერესს იწვევდა მატჩი ბრაზილიისა და უნგრეთის გუნდებს შორის. უნგრელებმა ბრწყინვალე თამაში აჩვენეს და დაამარცხეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები.

სურათზე: უნგრელთა ნაკრების მოთამაშე ფარკაშმა ეს-ეს არის, მეორე ბურთი გაიტანა ბრაზილიელთა კარში.

ფოტო იუპი-საკდესისა.

## საქართველოს პროფსაბჭოში

სულ ახლახან, საქართველოს პროფსაბჭოსთან შეიქმნა ფიზკულტურისა და სპორტის საზოგადოებრივი საბჭო. დებულებით გათვალისწინებულია, რომ ახალი ორგანო ირჩევა 2 წლით, 26 კაცის შემადგენლობით. თავის მხრივ საბჭო ირჩევს პრეზიდიუმს 11 კაცის რაოდენობით (თავმჯდომარე, მოადგილე და პრეზიდიუმის წევრები).

ფიზკულტურისა და სპორტის საზოგადოებრივი საბჭო მრავალმხრივ მუშაობას ჩაატარებს. ასე მაგალითად, მის მოვალეობაში შედის: დახმარება გაუწიოს ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებსა და წარმოება-დაწესებულებების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, უმაღლესი და საშუალო-სპეციალური სასწავლებლების პროფკავშირულ ორგანიზაციებს მასობრივ-ფიზკულტურული, გამაჯანსაღებელი და ტურისტული საქმიანობის ფართოდ გაშლაში.

საზოგადოებრივი საბჭო შეიმუშავებს და დაამტკიცებს სპორტღონისძიებათა გეგმებს, დახმარებას გაუწევს ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებს სპარტაკიადებისა და შეჯიბრებების ჩატარებაში, გამართავს შეკრებებს, დათვალიერება-კონკურსებს, მეთოდურ კონფერენციებს, დაგეგმავს სპორტულ ნაგებობათა მშენებლობებს, განიხილავს ამ მშენებლობათა საპროექტო ხარჯთაღრიცხვას და სხვ.

## საათი!

◆ ხაბაროვსკი, 19 ივლისი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება მხატვრულ ტანვარჯიშში. საპატიო ჯილდო მოიპოვა ცნობილმა სპორტსმენმა ლ. სავინკოვამ.

## დღეს ნომერშია:

- არავითარი დანდობა უხეშობას!
- რესპუბლიკის ჩემპიონობა... პირველად
- ბრაზილიელთა მწვრთნელს ემუქრებიან

მე-3 გვ.

- ლოს-ანჟელოსში იასპარეზებენ უძლიერესნი

მე-4 გვ.

# სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადების საკითხები

სპორტში მუდამ ვხვდებით როგორც მოსალოდნელ, ასევე მოულოდნელ დაბრკოლებებს, რომელთა გადაულახავად შეუძლებელია რაიმე წარმატების მიღწევა.

არჩევენ ობიექტური და სუბიექტური ხასიათის სიძნელეებს. პირველს მიეკუთვნება. შეჯიბრების ადგილისა (ნიადაგი, ტრასა და ა. შ.) და სპორტული ინვენტარის ხარისხი, კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები (ტემპერატურა, სიმაღლე ზღვის დონიდან, ქარი, წვიმა, თოვლი და ა. შ.), შეჯიბრების დებულებისა და კალენდრის თავისებურება და სხვ. მეორეს კი — შიში შესაძლო დამარცხების გამო, საკუთარ სპორტულ შესაძლებლობაში დაეჭვება ან მისი გადაჭარბებით შეფასება, ცუდი გუნება-განწყობილება, ერთსა და იმავე მოწინააღმდეგესთან ხშირი წაგებით გამოწვეული ე. წ. ფსიქიკური ტრავმები, დაღლილობა, აკვიატებული წარმოდგენები, შინაგანი პანიკა, დაბნეულობა, წინასასტარტო მდგომარეობა, პიროვნული თვისებები (ტემპერამენტი, ხასიათი) და სხვა მრავალი.

აღნიშნული სიძნელეების გადალახვა შეჯიბრების დროს, რა თქმა უნდა, აუცილებლად მოითხოვს სპორტსმენის სათანადო ფიზიკურ, ტექნიკურ და ტაქტიკურ მომზადებას, მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს და მთელი რიგი ავტორებიც მიუთითებენ, ეს სრულიადაც არ გახლავთ საკმარისი. იშვიათი როდია შემთხვევები, როცა ამ მხრივ საუკეთესოდ მომზადებული სპორტსმენი მარცხდება თანაბარი ძალის ან შედარებით სუსტ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში იმიტომ, რომ შეუპოვრად ვერ იბრძვის დასახული მიზნის მისაღწევად, იოლად ყრის ფარ-ხმალს დროებითი წარუმატებლობის გამო, გამარჯვების რწმენას კარგავს, შიში ეუფლება, იბნევა და სხვ. დღესდღეობით ეს ერთ-ერთი საჭირბოროტო საკითხია და გასაკვირი როდია, რომ სპორტის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მწვავედ დგას სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადების პრობლემა. ფეხბურთის გამოჩენილი სპეციალისტი ნ. სტაროსტინი, მაგალითად, ფსიქოლოგიურ მზადყოფნას ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მზადყოფნის თანაბარღირებულ კომპონენტად მიიჩნევს. მაგრამ ჯერჯერობით ეს საკითხი კიდევ არ შეიძლება მოგვარებულად ჩაითვალოს. დასამალი როდია, რომ საერთოდ ჩვენში და კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში პედაგოგ-მწვრთნელთა ფსიქოლოგიური განათლების დონე, უმეტეს შემთხვევაში, არ შეესატყვისება დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს. მწვრთნელები ვერ ამყარებენ სათანადო ურთიერთობას თავის აღსაზრდელებთან. ეს კი შეიძლება წარუმატებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცეს. ამას გარდა, სპორტში წარმატება ბევრადაა დამოკიდებული ინდივიდის ფსიქიკაზე. ძალოსნებისთვის, მაგალითად, დიდი მნიშვნელობა აქვს ყურადღების კონცენტრაციის უნარს, სტაიერებისთვის — შეუპოვრობას, ტრამპლინიდან თხილამურებით მხტომელებისთვის — გამბედაობას, სიმტკიცეს და სხვ. ამ ბოლო დრომდე ფსიქოლოგიური მომზადების ცნებაში გულისხმობდნენ მომზადებას მხოლოდ კონკრეტული შეჯიბრებისთვის. უმთავრესი ყურადღება ეთმობოდა ასპარეზობისას სპორტსმენის უარყოფითი ემოციების გაქარწყლებას, მასში სიმტკიცის, გამარჯვებისკენ მისწრაფებისა და საკუთარი შესაძლებლობების რწმენის გამომუშავებას. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ საქმე ამით როდი ამოიწურება. აუცილებელია ამ საკითხს, — სპორტსმენის ხასიათის ჩამოყალიბებას, ყურადღება მიექცეს საწვრთნო პერიოდიდანვე, მომავალ შეჯიბრებებში შესაძლო სიტუაციების გათვალისწინებით. უახლესი გამოკვლევების საფუძველზე არჩევენ ფსიქოლოგიურ მომზადებას საერთოდ და კონკრეტულად ერთი რომელიმე შეჯიბრებისათვის.

## ზოგადი ხასიათის ფსიქოლოგიური მომზადება

ზოგად-ფსიქოლოგიური მომზადება მიზნად ისახავს სპორტსმენის შესაძლებლობების სრულყოფას. იგი არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტული შეჯიბრების ამოცანებით და ამიტომ სპორტული წვრთნის ყველა ეტაპზე უნდა ხორციელდებოდეს.

რა კონკრეტული ამოცანები წყდება ზოგად-ფსიქოლოგიური მომზადების პროცესში? როგორც. სპეციალური გამოკვლევებით დასტურდება, მთავარი ამოცანა, რომელიც წვრთნის პროცესში უნდა გადაწყდეს, სპორტსმენის მორალური წრთობა:

1. მას უნდა ა ხ ა ს ი ა თ ე ბ დ ე ს კოლექტიურობისა და მეგობრობის გრძნობა, ჰქონდეს მრავალფეროვანი ინტერესები, უყვარდეს სპორტი. ეს ამოცანა არ შეიძლება გადაწყდეს ერთბაშად, იგი ხანგრძლივ, სისტემატურ და გულმოდგინე მუშაობას მოითხოვს. დასამალი არ არის, რომ ამ მნიშვნელოვან საქმეს ნაკლები ყურადღება ეთმობა არა თუ გამოცდილ სპორტსმენებთან, არამედ ახალგაზრდებთან მუშაობის დროსაც კი. უპატიებელი დანაშაულია, რომ ბევრ მწვრთნელს არ აინტერესებს სპორტსმენის მორალური სახე, მისი მომავალი. მათთვის მთავარია მხოლოდ შედეგი. გაუმართლებელია (განსაკუთრებით ახალგაზრდებთან) მწვრთნელთა ხშირი შეცვლა, რადგან ამ შემთხვევაში ხელმძღვანელი, ბუნებრივია, ვერ ასწრებს თავისი აღსაზრდელის ბუნების ძირფესვიანად შესწავლას და მისი მუშაობაც ნაკლებ ეფექტურია.

2. მწვრთნელმა საგანგებო ღონისძიებები უნდა დასახოს აღქმის სპეციალიზირებული სახეების გასავითარებლად (ე. წ. წყლის, დროის, დისტანციის გრძნობა და ა. შ.), რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს წარმატებისთვის.

3. სპორტსმენს უნდა განვუვითაროთ ყურადღების სიმყარე, კონცენტრაციის, სწრაფი მობილიზებისა და განაწილების უნარი, დამკვირვებლობა, სიტუაციაში უმალ გარკვევისა და შეჯიბრების პროცესში სწორი და სწრაფი ორიენტირების უნარი და ა. შ.

4. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალგანვითარებულ მეხსიერებასა და ფანტაზიას, კერძოდ, ტაქტიკური ხერხებისა და კომბინაციების სწორად და სწრაფად შემჩნევას და მახსოვრობას, იდეომოტორული წვრთნისთვის აუცილებელი კინესთეტიკური წარმოდგენების განვითარებას, ფანტაზიას იმპროვიზირებული მოქმედებისთვის, რაც წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

5. სპორტის იმ სახეობებში, სადაც ტაქტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, წვრთნის პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ სპორტსმენს განუვითარდეს აზროვნება (კერძოდ, ტაქტიკური აზროვნება).

6. როგორც ცნობილია, შეჯიბრების დაწყების წინ და შეჯიბრების პროცესში შესაძლოა სპორტსმენს გაუჩნდეს როგორც სთენიკური, ასევე ასთენიკური ემოციები. ამიტომ მას წვრთნის პროცესშივე უნდა გამოვუმუშავოთ ემოციების ნებისმიერად რეგულირების უნარი.

7. სპორტსმენის ნებელობის თვისებების (გამბედაობა, შეუპოვრობა; თავშეკავება, დისციპლინა, თანმიმდევრულობა, პრინციპულობა, მეგობრობისა და კოლექტიურობის გრძნობა, ინიციატივისა და გადაწყვეტილების სწრაფად გამოტანის უნარი და ა. შ.) განვითარებას ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წარმატების მოპოვებისთვის.

## სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადება კონკრეტული შეჯიბრებისთვის

კონკრეტული შეჯიბრებისთვის ფსიქოლოგიური მზადება სპორტსმენის მიერ ამ შეჯიბრებისთვის დასახული ამოცანებით იფარგლება:

1. მან ნათლად უნდა გაიცნობიეროს მომავალი ასპარეზობის თავისებურება და თავისი ამოცანა.

2. შეჯიბრების კონკრეტული პირობების (ასპარეზობის დაწყების დრო, ადგილი, კლიმატური პირობები და ა. შ.) უცოდნელად ძნელია წარმატების მოპოვება.

3. შეჯიბრების პროცესში სპორტსმენი ხშირად შეგნებულად ნიღბავს თავის შესაძლებლობას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოწინააღმდეგის ძლიერი და სუსტი მხარეების ცოდნას და მათ გათვალისწინებას ტაქტიკური სქემის შედგენისას.

4. ზოგჯერ, შესაძლოა, სპორტსმენი მასზე სუსტ მოწინააღმდეგესთან დამარცხდეს, თუ გამარჯვებისადმი ძლიერი მისწრაფება არ ექნა. ამიტომ საჭიროა შეჯიბრების დაწყების წინ მწვრთნელმა სათანადო საშუალებებს მიმართოს ამ მიზნის მისაღწევად.

5. ცნობილია თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს წარმატებისთვის საკუთარი შესაძლებლობის რწმენას. შეჯიბრების პროცესში წარუმატებლობა ზოგჯერ სულიერად დაცემას იწვევს, რასაც დამარცხება მოსდევს, ამიტომ საჭიროა სპორტსმენს შთავუნერგოთ ეს რწმენა.

6. სპორტსმენი ვერ შეძლებს ასპარეზობის დროს მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი ძალა, თუ სულიერი სიმხნევე არ შეინარჩუნა. ამაში მას მწვრთნელი უნდა დაეხმაროს.

7. სპორტსმენს უნდა გამოვუმუშავოთ მაქსიმალური ნებელობითი მოქმედებისათვის შინაგანი მზადყოფნა და ამ უკანასკნელის შეჯიბრებაში რეალიზაციის უნარი.

ყოველივე ეს მხოლოდ ზოგად-ფსიქოლოგიური მომზადების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფსიქოლოგიის სპეციალისტთა ამოცანაა დააზუსტონ და დააკონკრეტონ ფსიქოლოგიური მომზადების შინაარსი, შეიმუშაონ ეფექტური მეთოდები, რომელთა შემოქმედებითად გამოყენება ხელს შეუწყობდა ამ საკითხის წარმატებით გადაჭრას.

**ვ. დვალი,**
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

## „ლელო" წერილების კვალდაკვალ

### „დროა დაფასდეს მერანი"

ჩვენი გაზეთის 23 ივნისის ნომერში დაბეჭდილი იყო კრიტიკული წერილი — „დროა დაფასდეს მერანი", რომელშიც ლაპარაკია ჩოხატაურელთა ჩამოუსვლელობაზე ჭაბუკ ცხენოსანთა რესპუბლიკურ პირველობაზე.

როგორც ჩოხატაურის სპორტკავშირის თავმჯდომარე დ. ჩხიკვაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. მიღებულია ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

### გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციაში შემოვიდა ნავთლუღის სამრეწველო დასახლების ახალგაზრდების წერილი, რომელშიც გვატყობინებენ, რომ მათ მიერ სპორტულ მოედნად განკუთვნილ ადგილზე 26 კომისრის ალმასკომმა დაიწყო მაღაზიის მშენებლობა.

რედაქციამ წერილი გადაუგზავნა პარტიის 26 კომისრის რაიკომს. პარტიის რაიკომის მდივანმა ვ. შახდინაროვმა გვაცნობა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტი სინამდვილეს შეეფერება. რაიკომმა მიუთითა ალმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებასა და რაიონულ სპორტკავშირს აღნიშნული დასახლების ახალგაზრდობას გამოუყოს ადგილი სპორტული მოედნის მოსაწყობად.

## ქუთაისის სპორტული ქრონიკა

### ფეხბურთის მოედანი — ქიმიკოსებს

ლითოპონის ქარხანაში სათანადო ყურადღება ექცევა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას. ქიმიკოსებს აქვთ კალათბურთისა და ფრენბურთის კეთილმოწყობილი მოედნები, საცურაო აუზი. ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა კიდევ ერთი ახალი სპორტული ბაზა — ფეხბურთის სტადიონი.

### სპარტაკიადის პროგრამით

ქალაქის საჰაეროსნო-სამაშველო კლუბში ჩატარდა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის I რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური პირველობა ჭადრაკში.

I ადგილი დაიკავა ქუთაისის ბამბეულის საქსოვი ფაბრიკის გუნდმა. II ადგილზეა ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკა.

**შ. ნიჟარაძე.**
(ჩვენი კორ.).



## ასპარეზზე მეხანძრეები



ორ დღეს გრძელდებოდა რუსთავის პირად-გუნდური პირველობა სახანძრო-გამოყენებით სპორტში, რომელშიც მონაწილეობდა ხუთი გუნდი.

100-მეტრიან დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში ყველას აჯობა სპორტის ოსტატმა ა. ვლასოვმა (ქიმიური ბოჭკოს ქარხნის სახანძრო რაზმი), რომელმაც გაიმარჯვა აგრეთვე, საიერიშო კიბით სასწავლო კოშკის მე-4 სართულზე ასვლაში და ორჭიდში. გასაშლელი კიბის დადგმასა და მისი დახმარებით სასწავლო კოშკის მე-3 სართულზე ასვლაში ყველაზე პირველი იყო სპორტის ოსტატების ე. ნიკიტინისა და ვ. გორდიენკოს დუეტი (ქიმიური კომბინატი).

ს ა ხ ა ნ ძ რ ო ე ს ტ ა ფ ე ტ ა შ ი ც ($4 \times 100$ მ) ქიმიური კომბინატის გუნდმა გაიმარჯვა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი გახდა ქიმიური კომბინატის კოლექტივი.

**რ. ბაბრიშიძე.**
(ჩვენი კორ.).

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: შეჯიბრების მომენტები.

ფოტო ავტორისა.



# ა. მეტრეველი — საქართველოს ჩემპიონი

ბათუმში ერთ კვირას გრძელდებოდა საქართველოს პირადი პირველობა ჩოგბურთში. ასპარეზობამ, რომელშიც ცნობილი სპორტსმენები რ. აბჟანდაძე, ა. ივანოვა, ნ. მძინარიშვილი და ახლახან სკანდინავიის ღია ჩემპიონატში გამარჯვებული ა. მეტრეველი მონაწილეობდნენ, ზღვისპირელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მით უმეტეს, რომ ა. მეტრეველმა, რომელიც ამ ბოლო ხანს უფრო ხშირად უცხოეთში თამაშობს, 5 წლის შესვენების შემდეგ, როგორც იქნა, რესპუბლიკის ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. სხვათა შორის, ჩვენი ქვეყნის ამ საუკეთესო ჩოგბურთელს დღემდე არ მოუპოვებია საქართველოს ჩემპიონობა. და აი, ახლა მეტრეველმა ეს „ხარვეზი" გამოასწორა, ერთეულთა შეჯიბრებაში ტოლი არავის დაუდო და გაიმარჯვა. ფინალურ ოთხეულში მასთან ერთად გავიდნენ მისი ძმა — პ. მეტრეველი, ნ. მძინარიშვილი და ვ. გოგლიძე. ალექსანდრემ მოუგო ძმას ანგარიშით 6:4, 6:4, 6:2, მძინარიშვილს — 6:0, 6:1, 8:6. ფინალურ ოთხეულში გასვლამდე დაამარცხა გოგლიძეც, რომელიც II ადგილზე გავიდა. ამ უკანასკნელის აქტივშია გამარჯვება პ. მეტრეველთან — 0:6, 7:5, 6:1, 6:0 და მძინარიშვილთან — 6:3, 6:2, 6:0. III ადგილი პ. მეტრეველს ხვდა წილად.



დაძაბული ბრძოლა გაიმართა ქალთა ერთეულების ფინალურ ჯგუფში. I ადგილი მოიპოვა ა. ივანოვამ (მოუგო ნ. თუხარელს — 6:4, 6:3, რ. აბჟანდაძეს — 6:1, 7:9, 6:3, წააგო ი. ერმოლოვასთან—4:6, 3:6), II ადგილზე გავიდა აბულაძე, III — თუხარელი.

გამოვლინდნენ საპრიზო ადგილების მფლობელები წყვილთა ასპარეზობაშიც.

ქალთა წყვილები: 1. ივანოვა — ერმოლოვა, 2. აბჟანდაძე — თუხარელი, 3. ლოლობერიძე — ანტიპინა.

ვაჟთა წყვილები: 1. პ. მეტრეველი — მუსაელიანი, 2. გოგლიძე — ახალაძე, 3. ვერულავა — მძინარიშვილი.

შერეული წყვილები: 1. ივანოვა — მძინარიშვილი, 2. მგალობლიშვილი — ვერულავა, 3. სურმავა — რიაზანოვა.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ „სპარტაკის" შესანიშნავ ბაზას აშკარად ატყვია მოუვლელობის კვალი. კარგა ხანია კორტები არ შეკეთებულა და ასეთი დიდი ასპარეზობის გამართვა სხვა თუ არაფერი, უხერხულია.

**ი. გეგელაშვილი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

სურათზე: ჩემპიონატის მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ) — ნ. მძინარიშვილი, გ. მუსაელიანი, ა. ივანოვა და ა. მეტრეველი.

ფოტო ა. ჩანტლაძისა.

# VIII მსოფლიო ჩემპიონატი
## ENGLAND 1966 ფეხბურთი VIII ინგლისი



## ლ. ბაროტი: „უნგრეთმა ვალი მოიხადა"

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე უნგრეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ლ. ბაროტიმ განაცხადა: ბრაზილიის გუნდი ახლა აღარ არის ის, რაც სტოკჰოლმსა და ჩილეში იყო და მას ფინალური ტურნირის მონაწილე რომელიმე გუნდი დაამარცხებსო. ბაროტის სიტყვებმა სპეციალისტთა დიდი ნაწილი გააოცა და უნგრელ ფეხბურთელთა მწვრთნელს დამატებითი განცხადების გაკეთება მოუხდა. მან ერთხელ კიდევ აღნიშნა, ბრაზილიის ნაკრები წელს ისე ვერ თამაშობს, როგორც ადრე, ეს განსაკუთრებით ითქმის დაცვის შესახებ, სადაც მოთამაშეთა უმრავლესობა ან ასაკგადაცილებულია ფეხბურთისათვის, ან მაღალი კლასისა არ არისო. ჩემპიონატისწინა საკონტროლო მატჩებმა ბაროტის კიდევ უფრო განუმტკიცა ეს რწმენა.

და აი, 15 ივლისის მატჩში მისი წინასწარმეტყველება ახდა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა 8 წლის მანძილზე არნახული მარცხი განიცადა. ბრაზილიელთა გასვლა მეოთხედფინალში საეჭვო გახდა.

უნგრელები ამ სენსაციური გამარჯვების შემდეგ, ცხადია, კარგ გუნებაზე არიან. მათ ოპტიმიზმს არ იზიარებს მხოლოდ... ბაროტი. „სანამ მესიე არ გამოჯანმრთელდება, სასიხარულოს ვერაფერს ვხედავ, — განუცხადა მან უნგრელ ჟურნალისტებს,—იგი ნაკრების დაცვითი ხაზის ღერძია, ურომლისოდაც მსოფლიო ჩემპიონის მძლეველს ძალიან გაუჭირდება. როგორც ცნობილია, მესიმ ბრაზილიელებთან მატჩში ტრავმა მიიღო (მხრის არეში) და ჯერჯერობით კიდევ ვერ გრძნობს თავს კარგად. მაგრამ ბაროტის მიაჩნია, რომ ბულგარელებთან თამაშს იგი მაინც შეძლებს.

უნგრელ ჟურნალისტებთან ინტერვიუ ბაროტიმ ამ სიტყვებით დაამთავრა: „ჩვენ ჩვენი ვალი მოვიხადეთ. მეოთხედფინალშიც რომ ვერ გავიდეთ, მაინც ამაყად დავბრუნდებით სამშობლოში, რადგან დაუმარცხებელი გუნდის დაძლევა შევძელით."

17 ივლისს საექიმო კონსილიუმი გაიარა პელემაც. სპეციალისტებმა ერთხმად დაადგინეს, რომ „შავი მარგალიტი" პორტუგალიელთა წინააღმდეგ თამაშს შეძლებს.

## გულშემატკივრები პელეს აფრთხილებენ

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების მარცხმა უნგრელებთან დიდი უკმაყოფილება და პანიკა მოჰყვა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის სამშობლოში. ბრაზილია გლოვობს. სპორტულ წრეებსა და გულშემატკივართა შორის სულ უფრო იზრდება ფეოლას მიმართ უნდობლობის ტალღა. ეს იგრძნობა ყველგან: ქუჩებში, დაწესებულებებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

როგორც იქაური პრესა იტყობინება, უნგრეთთან წაგება თითქმის საყოველთაო უბედურებად იქცა ბრაზილიაში. 15 ივლისის მატჩის შემდეგ რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულოს საავადმყოფოები გულით ავადმყოფებით გაივსო. სასწრაფო დახმარების მანქანებს ნოცლა არ ჰქონდათ.

ბრაზილია—უნგრეთის მატჩის რადიორეპორტაჟის შემდეგ ერთ-ერთმა ბრაზილიელმა გულშემატკივარმა თავი მოიკლა. თვითმკვლელობის ცდას ადგილი ჰქონდა ბრაზილიის რამდენსამე პროვინციაშიც, მაგრამ იქ ყველაფერი საბედნიეროდ დამთავრდა.

ინგლისში მყოფი ბრაზილიელი ჟურნალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ნაკრების მწვრთნელის — ვ. ფეოლას მდგომარეობა არც ისე სახარბიელოა. ბრაზილიიდან უამრავი დეპეშა მოდის, გულშემატკივრები კატეგორიულად მოითხოვენ ფეოლას გადადგომას. აი ტექსტი ერთ-ერთი დეპეშისა, რომელსაც ხელს აწერს 100-ზე მეტი გულშემატკივარი: „ფეოლა უნდა გადადგეს, ჩვენ მოვითხოვთ, რომ მწვრთნელობა პელემ იკისროს. ფეოლას შეუძლია ინგლისში დარჩეს".

ამ დეპეშამ ვერ შეაშინა ნაკრების მწვრთნელი. მან ღიმილით განაცხადა: გულშემატკივრებისგან უფრო მძაფრ რეაქციას ველოდით. ამ უმნიშვნელო მუქარას კი ფეოლა გაუძლებს, მით უმეტეს, რომ მას არა ერთი და ორი უფრო სასტიკი იერიში მოუგერიებია.

„მე კარგად ვიცნობ ბრაზილიელებს, — თქვა ფეოლამ, — მათი დამშვიდება ისევე ადვილია, როგორც წონასწორობიდან გამოყვანა. საკმარისია ჩვენმა ფეხბურთელებმა მათთვის ჩვეული ოსტატობა აჩვენონ პორტუგალიის ნაკრებთან თამაშის დროს და მთელი ეს გულისტკენა დავიწყებას მიეცემა".

— რომ წააგოთ? — ჰკითხეს ჟურნალისტებმა ფეოლას. ამ სიტყვებზე ბრაზილიელთა მწვრთნელი მოიღუშა და შეკითხვა უპასუხოდ დატოვა.

## ჟ. ალბრეხტს — დისკვალიფიკაცია

სანდერლენდი. 24 წლის არგენტინელი ფეხბურთელი ჟ. ალბრეხტი არ ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატის მორიგ მატჩში შვეიცარიის ნაკრებთან. ფიფა-ს დისციპლინარულმა კომიტეტმა მას ერთი თამაშით დისკვალიფიკაცია მისცა...

გფრ-ის ნაკრებთან მატჩში ალბრეხტმა სერიოზული ტრავმა მიაყენა ვებერს და სამწუხარო ინციდენტის ავტორი გახდა. მსაჯი იძულებული იყო 5 წუთით შეეწყვიტა თამაში. საჭირო გახდა პოლიციის ჩარევაც. როგორც იქნა, ალბრეხტი მინდვრიდან გააძევეს. „ეს ჩემთვის კარგი გაკვეთილი იყო. უფრო ფრთხილი ვიქნები მომავალში", — თქვა ალბრეხტმა. კომიტეტმა მხედველობაში მიიღო არგენტინის გუნდის ხელმძღვანელობის დაპირებაც, რომ მსგავსი შემთხვევა მათი მოთამაშეების მხრიდან აღარ განმეორდება.

ამას გარდა, კომიტეტმა სერიოზულად გააფრთხილა რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებიც უხეშობდნენ: ბეკენბაუერი (გფრ), დენილსონი (ბრაზილია), სიმონი (საფრანგეთი), კოლევი და დერმენჯიევი (ბულგარეთი), ეუსებიო (პორტუგალია), აგრეთვე ჩვენი ფეხბურთელები ხურცილავა (კორეის გუნდთან მატჩის გამო) და საბო (მსაჯთან შეკამათებისთვის იტალიელებთან მატჩში).

## ფ. ალბერტი — ჯილდოს მთავარი პრეტენდენტი

ვინ არის ფეხბურთელთა VIII მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე? ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ასეთ კლასიფიკაციას არ ახდენს. საუკეთესო მოთამაშის ვინაობას ადგენენ ჩემპიონატზე აკრედიტებული ჟურნალისტები და შემდეგ ერთ-ერთი გაზეთი (ამ შემთხვევაში „პიპლი") გადასცემს მას ფეხბურთელის ოქროს გამოსახულებას. პრეტენდენტთა შეფასება ხდება 10-ბალიანი სისტემით.

ჯერჯერობით, ვიდრე ჯგუფური ტურნირებიც კი არ დამთავრებულა, ადრეა საპატიო ჯილდოს მომავალ მფლობელზე ლაპარაკი. მაგრამ წინასწარი ცნობებით, პრეტენდენტთა ათეულს უნგრეთის ეროვნული ნაკრების ცენტრფორვარდი — ფ. ალბერტი მეთაურობს. უძლიერესთა შორის ასახელებენ პორტუგალიელებს — ეუსებიოსა და ტორესს, ინგლისელ ჩარლტონს, არგენტინელ არტიმეს, საბჭოთა ფეხბურთელ ჩისლენკოს და სხვ.

## ცენტრალური მატჩი

თბილისში, კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე გრძელდება სტუდენტთა V საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული კალათბურთელთა ტურნირი. ჩემპიონატის მეორე დღეს ყურადღების ცენტრში იყო საქართველოს პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების ვაჟთა გუნდების შეხვედრა. აღსანიშნავია, რომ მომავალ ინჟინერთა ღირსებას იცავდა „ა" კლასის უმაღლესი ლიგის ბინადარი — თბილისის „ბურევესტნიკი", რომლის სასტარტო ხუთეული ასე გამოიყურებოდა: გ. მინაშვილი, ა. ლეჟავა, ვ. ლომაძე, ი. ლეჟავა და თ. მანაგაძე.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ახალგაზრდულმა კოლექტივმა (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ინწკირველი) კარგი საბრძოლო თვისებები გამოამჟღავნა, მაგრამ უფრო გამოცდილ მეტოქეთა უპირატესობა მაინც საგრძნობი იყო. გაიმარჯვეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა — 65:50 (30:24). გამარჯვებულთა შორის შედეგიანობით გამოირჩეოდნენ ორივე ლეჟავა და თ. მანაგაძე (12-12 ქულა).

მორიგ წარმატებას მიაღწიეს ესტონეთის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა, რომლებმაც დაამარცხეს ყაზახეთის თანაკლუბელები — 77:48 (45:19). გამარჯვებულთა შორის საუკეთესო იყო ე. პარბო —15 ქულა.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის და ოდესის სამშენებლო ინსტიტუტების ქალთა გუნდების შეხვედრა. პირველ ნახევარში აშკარა იყო უკრაინელთა უპირატესობა —27:16. შესვენების შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა: აზერბაიჯანელებმა მეტოქეს თავს სწრაფი ტემპი მოახვიეს, გარდატეხეს თამაში და მოიგეს შეხვედრა — 50:46. მოედანზე საუკეთესო კალათბურთელი იყო აზერბაიჯანის გუნდის წევრი ი. ქურაპლიოვა —23 ქულა.

საქართველოს პოლიტექნიკური და სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტების კალათბურთელ ქალთა გუნდების შეხვედრით დამთავრდა ტურნირის II კალენდარული დღე. საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორთა უპირატესობა ამ მატჩში აშკარა იყო: თბილისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 63:30 (25:13).

**ფ. თუშიშვილი.**

## ფილატელისტთა გასაჭირი

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა — ინგლისელებმა გამოუშვეს ამ დიდი შეჯიბრებისადმი მიძღვნილი სპეციალური საფოსტო მარკები. სულ მოკლე ხანში 3 მათგანი სამუზეუმო იშვიათობად იქცა. აღშფოთებულმა კოლექციონერებმა ბრიტანეთის კავშირგაბმულობის სამინისტროს პროტესტის წერილით მიმართეს და აი მოულოდნელად გამოირკვა, რომ მარკებს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ყადაღა დაადო.

თურმე მარკებზე გამოსახულ ფეხბურთელთა მოძრაობა ეწინააღმდეგება თამაშის წესებს. ფიფა-მ გააუქმა აღნიშნული საფოსტო მარკების მთელი სერია, რითაც ათასობით კოლექციონერი საგონებელში ჩააგდო.

## პოზიციები არ დათმეს

სოხუმში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობა ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ვაჟთა და ქალთა 12-12-მა კოლექტივმა. დებულების თანახმად, ტურნირის ყოველი მონაწილე 35 წლისა მაინც უნდა ყოფილიყო. თავდაპირველად ასპარეზობა 3 ქვეჯგუფად გაიმართა. გამარჯვებულებმა ფინალურ ჯგუფში განაგრძეს პირველობისთვის ბრძოლა.

თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელმა ვაჟებმა მოულოდნელად წააგეს (1:2) ქვეჯგუფში, ყაზანის გუნდთან, მაგრამ დანარჩენი ორი მატჩი (როსტოვისა და ვოლგოგრადის კოლექტივებთან) მოიგეს ერთნაირი ანგარიშით (2:0) და ფინალში გავიდნენ.

ჩვენმა სპორტსმენებმა (მწვრთნელი ვ. კალიანდრა) აქაც იმარჯვეს: ვლადივოსტოკისა და ორჯონიკიძის წარმომადგენლები დაამარცხეს კვლავ ერთნაირი ანგარიშით (2:0) და I ადგილი დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ თბილისელები შარშანაც პირველი იყვნენ ამავე სახის შეჯიბრებაში, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა.

გუნდის შემადგენლობაში არიან: პროფესორი ზ. ხანთაძე, ასპირანტურის გამგე ჯ. ლორთქიფანიძე, უფროსი მასწავლებლები — ქ. ლაპარტყავა, ი. გურგენიძე, მასწავლებლები — სპორტის ოსტატი ი. ბოიკო, ქ. ბეთანელი, ქ. ვოლკოვი, ასისტენტი გ. ფარცხალაძე.

ქალთა გუნდებს შორის პირველობა გორკის უმაღლესი სასწავლებლის ნაკრებმა დაისაკუთრა.

**ფ. ლეონიძე.**

სსრ კავშირის პირველობა

# მატჩი პაპანაქება სიცხეში

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 19 ივლისი.

„დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 3:1 (2:1).

კიევი: რუდაკოვი, შჩეგოლკოვი, სოსნიხინი, ლევჩენკო, კროლიკოვსკი, ტურიანჩიკი. ბიშევეცი, მუნტიანი, მედვიდი, ბიბა, ხმელნიცკი.

ქუთაისი: კვასხვაძე, ლოსაბერიძე (სიამაშვილი), წვერავა, ებრალიძე, ზარია, ძოძუაშვილი, კუტივაძე, ვეკუა, ჩხარტიშვილი, ხაჟალია, გ. ნოდია.

მსაჯი პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:0 კიეველთა სასარგებლოდ.

დიდმა სიცხემ, რომელიც მატჩის დღეს იდგა უკრაინის დედაქალაქში, საგრძნობი გავლენა მოახდინა თამაშის მსვლელობაზე: ამიტომ იყო, რომ ჭირდა მაღალი ტემპის განვითარება.

ანგარიში გაიხსნა მე-6 წუთზე. ქუთაისელთა მოულოდნელი იერიშის შემდეგ ბურთი ლიდერის კარში გაგზავნა მარცხენა გარემარბმა ნოდიამ — 1:0.

ამ გოლის გაქვითვას კიეველები საკმაო ხანს მოუნდნენ: თავიანთ საჯარიმო მოედანზე ქუთაისელებმა ოდნავ უხეშად ითამაშეს და მსაჯმა პ. კაზაკოვმა დანიშნა პენალტი. მუნტიანმა ზუსტად გამოიყენა იგი — 1:1.

ტაიმის დასასრულს „ტორპედოს“ ჰქონდა ანგარიშში დაწინაურების საშუალება, მაგრამ კუტივაძის მიერ ძლიერად და ზუსტად დარტყმული ბურთი გაჭირვებით მოიგერია რუდაკოვმა. ხაჟალიას სრული შესაძლებლობა ჰქონდა მეორედ აეღო კიეველთა კარი, მაგრამ დააყოვნა და საშუალება მისცა მეკარეს მიეწვდინა ბურთისთვის. წუთის შემდეგ ასეთივე მომენტი შესანიშნავად გამოიყენეს კიეველებმა და ხმელნიცკიმ ბადეში გაახვია კვასხვაძის მიერ მოგერიებული ბურთი — 2:1.

მეორე ტაიმში კიეველებმა (ბიშევეცი) შეძლეს კიდევ ერთხელ აეღოთ მეტოქის კარი და გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი — 3:1.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 ივლისისათვის

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 16 | 11 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 27 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 16 | 8 | 6 | 2 | 23—12 | 22 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 16 | 6 | 10 | 0 | 18—11 | 22 |
| ცსკა | 16 | 7 | 6 | 3 | 31—21 | 20 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 17 | 7 | 6 | 4 | 28—19 | 20 |
| ასკ (როსტოვი) | 16 | 9 | 1 | 6 | 27—27 | 19 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 17 | 7 | 4 | 6 | 24—18 | 18 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 17 | 8 | 2 | 7 | 19—20 | 18 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 16 | 6 | 5 | 5 | 22—18 | 17 |
| „დინამო“ (თბილისი) | 16 | 6 | 5 | 5 | 17—14 | 17 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 17 | 7 | 3 | 7 | 23—27 | 17 |
| „დინამო“ (მინსკი) | 17 | 4 | 7 | 6 | 15—21 | 15 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 18 | 6 | 3 | 9 | 24—32 | 15 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 16 | 4 | 6 | 6 | 15—17 | 14 |
| „არარატი“ (ერევანი) | 16 | 5 | 4 | 7 | 15—25 | 14 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 16 | 5 | 3 | 8 | 15—21 | 13 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 16 | 2 | 6 | 8 | 12—27 | 10 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 16 | 3 | 1 | 12 | 13—28 | 7 |
| ასკ (ოდესა) | 17 | 1 | 5 | 11 | 9—28 | 7 |

„დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მინსკი) 0:0

ასკ (ოდესა) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:4

„არარატი“ (ერევანი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 1:3

ფეხბურთი



### მოზარდთა საკავშირო

კოპეისკი (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი გუნდების საკავშირო ტურნირი.

თბილისის „ლოკომოტივის“ ნორჩ ფეხბურთელებს მორიგი შეხვედრა ჰქონდათ ქ. ულიანოვსკის „ვოლგასთან“. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

**თ. ქობულაძე.**

ფეხბურთი

# თასი — ლაშისღელელებს

დამთავრდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თასის გათამაშება ფეხბურთში. ბოლო ეტაპზე ასპარეზობდა 16 უძლიერესი გუნდი. მეოთხედფინალში გავიდნენ ქობულეთის, საგარეჯოს, სიღნაღის, ახალციხის, ლანჩხუთის, ბოგდანოვკის, ჩოხატაურისა და გეგეჭკორის წარმომადგენლები. მატჩები ასე დამთავრდა: ქობულეთი — საგარეჯო — 3:7, ახალციხე — სიღნაღი — 5:3, ლანჩხუთი — ბოგდანოვკა — 12:1, გეგეჭკორი — ჩოხატაური — 2:1.

ნახევარფინალში ახალციხელებმა და ლანჩხუთელებმა იმარჯვეს. პირველებმა დაამარცხეს საგარეჯოელები (2:0), ლანჩხუთელებმა ასეთივე ანგარიშით—გეგეჭკორელი სპორტსმენები.

და აი, ფინალში ითამაშეს ახალციხისა (სოფელ აწყურის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა) და ლანჩხუთის „გურიის“ (სოფელ ლაშისღელის კოლმეურნეობა) ფეხბურთელებმა. გამარჯვება და თასი მოიპოვეს ლანჩხუთელებმა (2:0).

შეჯიბრებაში სუსტად მომზადებული გუნდები გამოიყვანეს ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ და ბოგდანოვკის სოფელ ხოჯაბეკის კოლმეურნეობამ. განაცხადი წარმოდგენილი ჰქონდათ და ასპარეზობაზე არ გამოცხადდნენ თელავის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და დუშეთის მჭადიჯვრის კოლმეურნეობის სპორტსმენები, ხოლო „კოლმეურნის“ აბაშის, გურჯაანის, ზუგდიდის, მარნეულის, ონის, წალკის, წითელწყაროს და ხობის რაიონულმა საბჭოებმა ვერ უზრუნველყვეს თავიანთი ფეხბურთელების მონაწილეობა თასის გათამაშებაში, თუმცა ამ რაიონებში საკმაოდ ძლიერი კოლექტივები ჰყავთ.

სწორედ ამ საკითხებზე იმსჯელა ახლახან „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა და შესაბამისი დადგენილებაც გამოიტანა.

**გ. ირინაული.**

* * *

სურათზე: თასის მფლობელები. **პირველ რიგში** (მარცხნიდან) — ნ. წერეთელი, ნ. ნარიაშვილი, ზ. კუნჭულია, თ. კვირკველია, ჯ. ურუშაძე, რ. ჩხარტიშვილი; **მეორე რიგში** — ა. სარიშვილი, ბ. სიხარულიძე, შ. პატარაია, ჯ. ჯაგაშვილი; **დგანან** — ვ. თევზაძე, გ. ჭყონია, გ. ჯორბენაძე, ვ. წილოსანი, ზ. სანაძე, რ. ნებუნიშვილი, მარჯვნივ — გუნდის მწვრთნელი შ. კაკაბაძე.

# „საუკუნის ტურნირი“

ამერიკელი ვიოლონჩელისტი გ. პიატიგორსკი ცნობილი მოღვაწეა მუსიკის სამყაროში. სხვათა შორის, იგი თავმჯდომარეობდა ვიოლონჩელისტთა ჟიურის პ. ჩაიკოვსკის სახელობის ამასწინანდელ კონკურსზე მოსკოვში. გ. პიატიგორსკის მეუღლე ჭადრაკის დიდი ტრფიალია. მას მრავალჯერ უთამაშია აშშ-ის ქალთა ჩემპიონატებში და ორჯერ პირველი ადგილიც მოიპოვა. პიატიგორსკების ოჯახი ყოველწლიურად აწყობს მსოფლიოს 10 გამოჩენილი დიდოსტატის ორწრიან მატჩ-ტურნირს „გ. პიატიგორსკის თასზე“.

წლევანდელ ტურნირში, რომელიც ამ დღეებში აიღებს სტარტს ლოს-ანჟელოსში, მიწვეული არიან: მსოფლიო ჩემპიონი ტ. პეტროსიანი, ბ. სპასკი (სსრ კავშირი), რ. ფიშერი, ს. რეშევსკი (აშშ), ბ. ივკოვი (იუგოსლავია), ბ. ლარსენი (დანია), ლ. პორტიში (უნგრეთი), ვ. უნციკერი (გფრ), მ. ნაიდორფი (არგენტინა) და ი. დონერი (ჰოლანდია).

მომავალი ასპარეზობა უაღრესად დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში მონაწილეობას მიიღებს რ. ფიშერი (ადრე იგი სხვადასხვა მიზეზით არიდებდა თავს ტურნირს), არამედ იმიტომაც, რომ თამაშზე თანხმობა განაცხადეს ტ. პეტროსიანმა და ბ. ლარსენმა, რომელმაც ბოლო წლებში საერთო აღიარება მოიხვეჭა და დღეს საბჭოთა დიდოსტატების ყველაზე ღირსეულ მეტოქედ ითვლება. დანიელ მოჭადრაკეს განსაკუთრებით დიდი სახელი მოუტანა ე. გელერთან გამარჯვებამ.

ტ. პეტროსიანისა და ბ. სპასკის ლოს-ანჟელოსს გამგზავრება უდავოდ დიდი მოვლენაა. მსოფლიო ჩემპიონმა ერთხელ (1963 წელს) უკვე ითამაშა „გ. პიატიგორსკის თასზე“ და პ. კერესთან ერთად გაიყო პირველი პრიზი.

ცხადია, ყველას აინტერესებს რ. ფიშერის გამოსვლა, რომელსაც ორი წელია უძლიერეს დიდოსტატებთან არ უთამაშია. ტურნირს ელფერს შემატებენ სხვა დიდოსტატებიც. ამ ასპარეზობის კოლორიტული ფიგურაა 56 წლის მ. ნაიდორფი, რომელიც ხანდაზმულობის მიუხედავად, წარმატებით თამაშობს ახალგაზრდა კოლეგებთან.

ლოს-ანჟელოსის ასპარეზობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ჭადრაკის წლევანდელ სეზონში. უცხოურმა პრესამ მოჭადრაკეთა ეს ფორუმი „საუკუნის ტურნირად“ მონათლა.

**თ. ნინოშვილი.**



## შეხვედრა უდაბნოში

ეს მოხდა აღმოსავლეთ აფრიკის ერთ-ერთ პროვინციაში. საავტომობილო რალის შარშანდელი ჩემპიონი ჯ. სინგი წვრთნის დროს წააწყდა ცხოველთა მეფეს, რომელმაც მშვიდად გაუარა წინ მანქანას და მახლობელ უდაბნოს მიაშურა. გაკვირვებულმა და ოდნავ შეშფოთებულმა სინგმა მოასწრო ამ უცნაური შეხვედრის ფოტოფირზე აღბეჭდვა.

ფოტო „სპორტოვეცისა“.

▲ **პარიზი.** კალათბურთის ცნობილი ფრანგი სპეციალისტი და მწვრთნელი რ. ბიუსნელი არჩეულია საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტად. ბიუსნელმა არჩევნებისას მიიღო ხმების სამი მეოთხედი.

▲ **ლონდონი.** ევროპის ფეხბურთის ფედერაციის (უეფა) თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული შვეიცარიელი გ. ვიდერკერი. ფედერაციის ხელმძღვანელობაში შევიდნენ აგრეთვე: ჟ. კრაე (ბელგია), შ. ბარჩი (უნგრეთი), ა. პიჟოლი (ესპანეთი), ლ. ბრუნტი (ჰოლანდია), ჯ. პასკუალე (იტალია), ტ. ბროდი (შვეცია), ხ. გოზმანი (გფრ), ხ. პოუელი (უელსი), ნ. რიაშენცევი (სსრ კავშირი) და ტ. რილსკი (პოლონეთი).

▲ **ლონდონი.** ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის პირველ მატჩზე (ინგლისი — ურუგვაი) გაიყიდა 20 ათასზე მეტი სენდვიჩი, 4 ათასზე მეტი კასრი ლუდი, 20 ათასი ჭიქა ჩაი და 500 ბოთლი ვისკი.

▲ **ლაიპციგი.** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონი 1 კილომეტრზე გიტში გახდა ე. ჰანკე. მისი შედეგი 1.10,4 ქვეყნის ახალი რეკორდია.

▲ **ბრნო.** აქ გაიმართა ჩეხოსლოვაკიისა და იტალიისველოსიპედისტთა ამხანაგური შეხვედრა ტრეკის პროგრამით. გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ინდივიდუალურ რბოლაში 4 კილომეტრზე მაღალი შედეგი აჩვენა ჩეხოსლოვაკიელმა დალერმა — 4.53,3.

▲ **მილანი.** მიმდინარე წლის დასასრულს იტალიის კალათბურთის ფედერაცია აწყობს დიდ საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: მილანის, ბელგრადის, პარიზის, ბრიუსელის და მადრიდის ნაკრები გუნდები.

რედაქტორის მოადგილე
**ზ. ჯაფარიძე.**

ИНДЕКС 68418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ||| უე 04980